# თბილისის რამოდენიმე უბანს ავტობუსის ახალი მარშრუტები ემატება



**20 ნოემბრიდან მგზავრებს მიკროავტობუსების ახალი მარშრუტები მოემსახურება.**

**N421** მარშრუტი მეტროსადგურ „გურამიშვილს“ ურეკის ქუჩის გავლით, ზღვისუბნის XI-III-IV მიკრორაიონებთან დააკავშირებს.

**N441** მარშრუტი გადაადგილდება სოფელი დიღმის ცენტრიდან ამავე სოფელში, რუსთაველის, ყაზბეგისა და ფიროსმანის ქუჩების მიმართულებით.

**N443** მარშრუტი სოფელი დიღმის ცენტრიდან მოემსახურება სოფელ დიდგორსა და სოფელ თელოვანს.

**N446** მარშრუტი მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრიდან“ ხიზანიშვილისა და ვეკუას ქუჩების გავლით გადაადგილდება მაისურაძისა და ინგუშეთის ქუჩების მიმართულებით.

**N454** მარშრუტი მოემსახურება ვარკეთილის III ა მიკრორაიონს მეტროსადგურ „ვარკეთილამდე“ და ჩაანაცვლებს მარშრუტს – N54.

**N494** მარშრუტი მოემსახურება მუხიანის აგარაკებში ვარდისუბნის ქუჩას მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრამდე“, ამავდროულად, ჩაანაცვლებს მარშრუტს – N104.

აღნიშნულ მარშრუტებზე ახალი, ლურჯი მიკროავტობუსები იმოძრავებენ.